

# საქართველოში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის კვლევის შედეგები

✘ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო აგრძელებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის უწყვეტ მონიტორინგს ავტომატური სადგურების საშუალებით.

სააგენტოს ინფორმაციით, თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში რვა დამაბინძურებელი ნივთიერების კონცენტრაციები გაიზომა. გაზომვების შედეგად ატმოსფერულ ჰაერში განსაზღვრული ნივთიერებების შემცველობები ნორმის ფარგლებში დაფიქსირდა, გარდა მყარი ნაწილაკებისა (PM10) და აზოტის დიოქსიდის კონცენტრაციებისა.

კერძოდ, 7 სექტემბერს მყარი ნაწილაკების PM10-ის კონცენტრაციების ნორმაზე გადაჭარბება აღინიშნა დედაქალაქში განთავსებულ ოთხივე ავტომატურ სადგურზე. 8 და 9 სექტემბერს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე PM10-ის მომატებული კონცენტრაციები არ დაფიქსირებულა, ხოლო რაც შეეხება 10 სექტემბერს საქართველოს ტერიტორიაზე სამხრეთ-აღმოსავლეთიდან გავრცელებული უდაბნოს მტვრის ნაწილაკების შემცვერი ჰაერის მასების გავრცელების გამო თბილისის ოთხივე ავტომატურ სადგურზე კვრავ დაფიქსირდა PM10-ის კონცენტრაციების ნორმაზე გადაჭარბება და მისი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი წერეთლის გამზირზე აღინიშნა, რაც ნორმას 1,6-ჯერ აღემატებოდა.

11 სექტემბრის 15 საათის მდგომარეობით მყარი ნაწილაკების PM10-ის კონცენტრაციებმა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მნიშვნელოვნად დაიკლო და ამჟამად ნორმის ფარგლებშია. ამ დღეებში ასევე, ფიქსირდებოდა აზოტის დიოქსიდის კონცენტრაციების საშუალოწრიურ ნორმაზე გადაჭარბება ქალაქ თბილისში წერეთლის გამზირზე 1.4-ჯერ და ბათუმში აბუსერიძის ქუჩაზე 1.5-ჯერ, რაც არასრული წვის შედეგად არის გამოწვეული.

ჰაერის ხარისხის მონიტორინგი უწყვეტ რეჟიმში გრძელდება. გარემოს ეროვნული სააგენტო მონაცემებს ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაციების შესახებ ყოველდღიურად აქვეყნებს სააგენტოს ვებგვერდზე [www.nea.gov.ge](http://www.nea.gov.ge).